



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080131933830519

№ 1073

26 / თებერვალი /
2019 წ.

შპს „ავტოტრანსგრუპის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტი;

ტენდერის ნომერი: NAT180020759;

შესყიდვის ობიექტი: 50100000 – სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები;

პრეტენდენტი: შპს „ავტოტრანსგრუპი“ (ს/ნ: 439863523);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 1 თებერვალს წარმოდგენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 31 იანვრის № MIA01900257803 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 1149), რომლითაც სააგენტოს ეცნობა NAT180020759 ელექტრონული ტენდერიდან პრეტენდენტის – შპს „ავტოტრანსგრუპის“ (ს/ნ: 439863523) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. სააგენტომ შპს „ავტოტრანსგრუპს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის buduacho@inbox.ru მეშვეობით, 2019 წლის 5 თებერვლის №471 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. პრეტენდენტს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მის მიერ მანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV50112000) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ NAT180020759 ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა – შპს „ავტოტრანსგრუპმა“ (ს/ნ: 439863523) ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიღინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, კერძოდ, სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ცნობა დავალიანების არქონის შესახებ არ იყო ნამდვილი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის 2019 წლის 31 იანვრის № 4 სხდომის ოქმით, შპს „ავტოტრანსგრუპს“ მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

3. პრეტენდენტის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პრეტენდენტს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 24 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტმა გამოაცხადა NAT180020759 ელექტრონული ტენდერი მანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV50112000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT180020759 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.2 პუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ვალდებული იყო შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, სისტემის საშუალებით წარედგინა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა ბიუჯეტთან საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა დათარიღებული უნდა ყოფილიყო NAT180020759 ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემდგომი თარიღით.

4.3. NAT180020759 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო შპს „ავტორანსგრუპმა“ (ს/ნ: 439863523), რომელმაც სატენდერო დოკუმენტაციის 5.1.2 პუნქტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, 2019 წლის 28 იანვარს, 22:58 საათზე ტენდერში ატვირთა 2019 წლის 28 იანვარს გაცემული დავალიანების არქონის შესახებ ცნობა (ID: 5254869, შტრიხკოდი: 2802220), რომლის თანახმადაც, 2019 წლის 28 იანვრის მდგომარეობით, შპს „ავტორანსგრუპს“ გააჩნდა სალდირებული აღიარებული დავალიანება 4846,07 ლარის ოდენობით (საანგარიშო პერიოდი: 2018 წლის 8 თებერვალი), თუმცა პრეტენდენტმა აღნიშნული დოკუმენტი გააუქმა (გადახაზა).

4.4. 2019 წლის 28 იანვარს, 23:55 საათზე შპს „ავტორანსგრუპმა“ კვლავ წარადგინა 2019 წლის 28 იანვრის ცნობა დავალიანების არქონის შესახებ (ID: 5254869, შტრიხკოდი: 2802220), რომელშიც შეცვლილი იყო საანგარიშო პერიოდი, კერძოდ, ნაცვლად 2018 წლის 8 თებერვლისა, მითითებული იყო 2019 წლის 28 იანვარი.

4.5. სატენდერო კომისიამ 2019 წლის 31 იანვრის № 4 სხდომის ოქმით დაადგინა, რომ, როგორც პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დავალიანების არქონის შესახებ ცნობის ID ნომრისა და შტრიხკოდის შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე (<http://www.rs.ge/searghapp>) გადამოწმების შედეგად გაირკვა, ხსენებული რეკვიზიტებით იძებნება შემოსავლების სამსახურის არა 2019 წლის 28 იანვრის, არამედ 2018 წლის 8 თებერვლის ცნობა, რომელიც პრეტენდენტმა წარადგინა 2018 წლის 9 იანვარს გამოცხადებულ NAT180000277 ელექტრონულ ტენდერში. ამდენად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „8“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის 2019 წლის 31 იანვრის № 4 სხდომის ოქმით, შპს „ავტორანსგრუპს“ მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ავტორანსგრუპი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიციურებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიციურებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინს არაკეთილსინდისიერი ქმედებას.

7.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერილი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართის №1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში/კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მას არ წარუდგენია მცდარი ინფორმაცია, რაც იყო და ან უნდა სცოდნოდა პრეტენდენტს, ხოლო აფიდავიტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, იგი მიიღებს დისკვალიფიკაციას ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.5. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ პრეტენდენტის მიერ NAT180020759 ელექტრონულ ტენდერში წარდგენილი ცნობა დავალიანების არქონის შესახებ არ იყო ნამდვილი. ამდენად, მან ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, კერძოდ, დაარღვია აფიდავიტის პირობები, რის გამოც არსებობს შპს „ავტოტრანსგრუპის“ შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.


7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან დგინდება, რომ შპს „შპს „ავტოტრანსგრუპმა“ NAT180020759 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, შპს „ავტოტრანსგრუპი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

- 1. შპს „ავტოტრანსგრუპი“ (ს/ნ: 439863523) 2019 წლის 27 თებერვალს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
- 2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე  ლევან რაზმაძე